სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

22 სექტემბერი, 2025 წ.

ბრძანება №01-02/177

„განათლების მეცნიერებების“ ერთობლივ სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებაპოვებულ პირთან **გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმის** დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, წესდების მე–13, 66-70-ე მუხლების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 04 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების **აკრედიტაციის დებულების** (მათ შორის №6 დანართი - **სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტის (**<u>დამტკიცებული</u> საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის <u>2024 წლის 30 აგვისტოს №141/ნ ბრძანებით;</u> ვებგვერდზე გამოქვეყნებული - 30.08.2024 წ.), „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო **პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის** დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს <u>2022 წლის 14 ივლისის №06-01/54 დადგენილების,</u> „ბსუ–ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის №6 გადაწყვეტილების, **„ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების** დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2024 წლის 27 დეკემბრის №129 დადგენილების, ,,ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის <u>„განათლების მეცნიერებები“ დამტკიცების შესახებ“</u> **<u>ბსუ-ს</u> აკადემიური საბჭოს 2020 წლის 20 ივლისის №06-01/37 დადგენილების** (ცვლილება N06-01/127, 27.12.2024 წ. დადგენილებით), საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს (თსუ), საჯარო სამართლის იურიდიული პირი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს (აწსუ), საჯარო სამართლის იურიდიული პირი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტსა (თესაუ) და საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ბსუ) შორის **<u>„განათლების მეცნიერებების“ ერთობლივი სადოქტორო</u>** <u>საგანმანათლებლო</u> **<u>პროგრამის განხორციელების შესახებ</u>** **<u>2025 წლის 17 ივლისის ხელშეკრულების,</u>** „განათლების მეცნიერებების“ ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 18 აგვისტოს გადაწყვეტილების, <u>ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანის 2025 წლის 23 ივლისის N906431 და 2025 წლის 27 ივლისის N917738 სამსახურებრივი ბარათების,</u> ,,ბსუ-ს რექტორის ტიტე არუშიძის ქალაქ თბილისში მივლინების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის 19 სექტემბრის N01-14/532 ბრძანების, ,,ბსუ-ს რექტორის მოადგილეთა ფუნქციების განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 12 აგვისტოს N01-02/155 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს 2025-26 სასწავლო წლიდან საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ), საჯარო სამართლის იურიდიული პირი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის (აწსუ), საჯარო სამართლის იურიდიული პირი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თესაუ) და საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ბსუ) ერთობლივ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე **„განათლების მეცნიერებები“** ბსუ-ს ვაკანტურ ადგილზე **ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმა,** წინამდებარე ბრძანების **№1 დანართის** შესაბამისად.
2. **ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი** ,,ბსუ-ს დოქტორანტებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმების დამტკიცებისა და ზოგიერთი საორგანიზაციო ღონისძიებების შესახებ“ **ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 06 ივლისის N01-02/102 ბრძანების N3 დანართი** (,,განათლების მეცნიერებების“ ერთობლივი სადოქტორო პროგრამის სტუდენტთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმა).
3. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ.№30).

ბსუ-ს რექტორის მოადგილე
სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი **გიორგი ქათამაძე**

,,განათლების მეცნიერებების“ ერთობლივ სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებაპოვებულ პირთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 22 სექტემბრის №01-02/177 ბრძანების №1 დანართი

ხელშეკრულება №

ქ. ბათუმი "____"_____" 20_ წ.

ერთი მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში ,,**უნივერსიტეტი**“ ან ,,**ბსუ**“), წარმოდგენილი რექტორის ---------- ---------- მიერ

და მეორე მხრივ ფიზიკური პირი _____ (შემდგომში ,,სტუდენტი" ან ,,**დოქტორანტი**“) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია **უნივერსიტეტს** და საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის **(თსუ),** საჯარო სამართლის იურიდიული პირი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის **(აწსუ),** საჯარო სამართლის იურიდიული პირი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის **(თესაუ)** და საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის **(ბსუ)** ერთობლივ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე **„განათლების მეცნიერებები“** (შემდეგში - **„პროგრამა“) ბსუ-ს კვოტით** (ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტზე) **ჩარიცხულ** სტუდენტს **(დოქტორანტს) შორის ურთიერთობის რეგულაცია.**

1.2. ერთობლივი სადოქტორო პროგრამის „განათლების მეცნიერებების“ დანერგვისა და განხორციელების შესახებ თსუ-ს, აწსუ-ს თესაუ-ს და ბსუ-ს შორის 2025 წლის ივლისში გაფორმებული ხელშეკრულება **(შემდეგში „ერთობლივი ხელშეკრულება“) და მისი შემადგენელი დანართები (დანართი 1 - „**ერთობლივი სადოქტორო პროგრამის სასწავლო გეგმა“; **დანართი 2 - „**ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის -„განათლების მეცნიერებები“ დაგეგმვის, შემუშავებისაა, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა“; **დანართი 3 -** ,,ერთობლივ სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები და პროცედურა“; **დანართი 4 -** ,,ერთობლივი სადოქტორო პროგრამის დისერტაციის მომზადების და დაცვის წესი“**; დანართი 5 -** ,,ერთიანი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ერთიანი წესი“**; დანართი 6 -** ,,მმართველი საბჭოს უფლებამოსილების რეგულაციის დოკუმენტი“) **განიხილება დოქტორანტთან გაფორმებული წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.**

1.3. მხარეები თანხმდებიან, რომ **ბსუ-ს, დოქტორანტს,** დოქტორანტის **სამეცნიერო ხელმძღვანელს** (არსებობის შემთხვევაში - ასევე სამეცნიერო თანახელმძღვანელს) **შორის გაფორმდება** სამმხრივი შეთანხმება **(შემდეგში - „სამმხრივი შეთანხმება“),** შესაბამის პროგრამაზე ბსუ-ს დოქტორანტის სტატუსის მოპოვების **და** დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის (სამეცნიერო თანახელმძღვანელის) დამტკიცების შემდეგ. სამმხრივი შეთანხმების პირობები ხელს უწყობს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის მიერ საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და დოქტორანტის მიერ ნაშრომის დადგენილ ვადაში დასრულებას.

1.4. ბსუ-ს დოქტორანტურის დებულება, ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, ბსუ-ს შინაგანაწესი, ასევე ბსუ-ს, დოქტორანტს და დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს შორის გაფორმებული სამმხრივი შეთანხმება, განიხილება ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილებად.

მუხლი 2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულებით, **,,ერთობლივი ხელშეკრულებით"** (და მისი დანართებით,) საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდების, ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის, ბსუ-ს დოქტორანტურის დებულებისა და ბსუ-ს სხვა მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების შესაბამისად, რომლებიც განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში ,,იურიდიული ცნობარი", ,,სტუდენტის გზამკვლევი").

2.2. **სტუდენტის უფლებებია:**

ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება და მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო კვლევაში;

ბ) ისარგებლოს პარტნიორი უნივერსიტეტების მატერიალურ - ტექნიკური ბაზით, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

გ) მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია პარტნიორ უნივერსიტეტებში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების თაობაზე;

დ) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და გაასაჩივროს საგამოცდო შედეგი, ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით/ბსუ-ს დოქტორანტურის დებულებით/საგამოცდო ინსტრუქციით დადგენილ ვადაში და წესით;

ე) მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია უფლებამოსილი პირისაგან, საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო კურსების, გამოცდების ჩატარების ვადებისა და ფორმატის, ასევე, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის თაობაზე; კვლევით პროცესში ჰქონდეს და მიიღოს სამეცნიერო ხელმძღვანელისაგან რეგულარული კონსულტაციები კვლევის მეთოდოლოგიურ, სტრუქტურულ, კონცეპტუალურ და სხვა საკითხებზე;

ვ) პერიოდულად მოახდინოს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მუშაობის შეფასება;

ზ) საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ ძირითად ვადებში შეფასების გაუმჯობესების მიზნით სემესტრულ სამუშაო ნორმად დადგენილი კრედიტების ფარგლებში განმეორებით მოისმინოს სასწავლო კურსი;

თ) საქართველოს კანონმდებლობის და ბსუ-ს სამართლებრივი აქტების შესაბამისად შეიჩეროს ან შეიწყვიტოს სტუდენტის სტატუსი, ისარგებლოს მობილობის უფლებით;

ი) საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, აირჩიოს ან/და არჩეულ იქნეს სტუდენტურ თვითმმართველობაში და უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოში;

კ) ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით და კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტებით, ბსუ-ს წესდებით, ბსუ-ს დოქტორანტურის დებულებით და სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სტუდენტის უფლებებით.

2.3. **სტუდენტი ადასტურებს,** რომ გაცნობილია უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულ ,,სტუდენტის გზამკვლევს", მასში მითითებულ სამართლებრივ აქტებს, წინამდებარე ხელშეკრულების 2.1. პუნქტში მითითებულ სამართლებრივ აქტებს, ,,ერთობლივ ხელშეკრულებას" და მის დანართებს **და იღებს ვალდებულებას:**

ა) შეასრულოს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნები, დადგენილ ვადაში გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია (დაარეგისტრიროს სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტები) და შეასრულოს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით/სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული აკადემიური აქტივობა/სამუშაო;

ბ) გადაიხადოს სწავლის საფასური (გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია), ბსუ-ს სწავლის საფასურის გადახდის წესის შესაბამისად და რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში;

გ) ისარგებლოს ,,სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემით"/,,სტუდენტური პორტალით", რომლის საშუალებით სტუდენტებს მიეწოდება შეტყობინებები/ინფორმაცია სასწავლო პროცესისა და გამოცემული სამართლებრივი აქტების თაობაზე;

დ) უნივერსიტეტთან კომუნიკაციისათვის (ინფორმაციის, ცნობების მიღება-მოთხოვნისათვის) ისარგებლოს სტუდენტური პორტალით და პირადი მონაცემების ცვლილების შემთხვევაში წარმოადგინოს ინფორმაცია სტუდენტურ პორტალზე/ელექტრონულ სისტემაში, მის პირად პროფილში ასახვის მიზნით;

ე) გაეცნოს უნივერსიტეტის სამართლებრივ აქტებს, რომლებიც გამოქვეყნდება ბსუ-ს ვებგვერდზე (**www.bsu.edu.ge.** - ველებში ,,იურიდიული ცნობარი", **„სტუდენტის გზამკვლევი"**), განთავსდება შესაბამისი ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე/სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში/სტუდენტურ პორტალზე/კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფაზე;

ვ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის ქონებას, არ დაუშვას უნივერსიტეტის შენობის, სასწავლო ინვენტარის, კომპიუტერული ტექნიკის და უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული სხვა ქონების დაზიანება ან/და უდიერად მოპყრობა; დროულად დააბრუნოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდან გატანილი წიგნები და მასალები და დაიცვას ,,ბსუ-ს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის" მოთხოვნები;

ზ) ჯეროვნად შეასრულოს ამ ხელშეკრულების, საქართველოს კანონმდებლობის, ბსუ-ს წესდების, ეთიკის კოდექსის, შინაგანაწესის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის, ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების, ,,აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესის" და უნივერსიტეტის შესაბამისი რეგულაციების მოთხოვნები.

2.4. უნივერსიტეტი უფლებამოსილია:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად დაგეგმოს სასწავლო პროცესი, განსაზღვროს სასწავლო წლის კალენდარი, აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადები და მოსთხოვოს სტუდენტს სწავლის საფასურის დადგენილ ვადაში გადახდა;

ბ) სტუდენტის შესახებ გამოსცეს სამართლებრივი აქტები საქართველოს კანონმდებლობის, ბსუ-ს წესდების, ეთიკის კოდექსის, შინაგანაწესის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის, ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების, ბსუ-ს სხვა რეგულაციების და წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვით.

2.5. უნივერსიტეტი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს სტუდენტი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი და ხარისხიანი საგანმანათლებლო მომსახურებით და სამეცნიერო კვლევაში მონაწილეობით; უზრუნველყოს დოქტორანტი, კვლევით პროცესში ჰქონდეს და მიიღოს სამეცნიერო ხელმძღვანელისაგან რეგულარული კონსულტაციები კვლევის მეთოდოლოგიურ, სტრუქტურულ, კონცეპტუალურ და სხვა საკითხებზე (კონსულტაციების სიხშირე უნდა შეესაბამებოდეს საკვლევი თემის სპეციფიკას და დოქტორანტის ინდივიდუალურ საჭიროებებს);

ბ) უზრუნველყოს სტუდენტის მიერ უნივერსიტეტის სხვა სტუდენტებთან თანაბარ პირობებში უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურით, მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით სარგებლობა, ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის უსაფრთხო საუნივერსიტეტო გარემოში;

გ) სტუდენტის ცოდნა შეაფასოს სამართლიანად და უზრუნველყოს მის მიერ მიღებული შეფასების შედეგების გასაჩივრების უფლების რეალიზაცია;

დ) არ დაუშვას სტუდენტის დისკრიმინაცია, ასევე უზრუნველყოს სტუდენტის პერსონალური ინფორმაციის დაცვა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ე) უზრუნველყოს და ხელი შეუწყოს სტუდენტის მიერ საქართველოს კანონმდებლობით, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე აქტებით, ასევე ბსუ-ს წესდებით, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, ბსუ-ს დოქტორანტურის დებულებით, ბსუ-ს სხვა სამართლებრივი აქტებით და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული (დადგენილი) სტუდენტის უფლებებით სარგებლობას.

მუხლი 3. სწავლის საფასური

3.1. პროგრამაზე სწავლის ყოველწლიური საფასური (ერთი სასწავლო წლისათვის) შეადგენს: საქართველოს მოქალაქეებისათვის - 2250 (ორი ათას ორას ორმოცდაათი) ლარს, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის - 5000 (ხუთი ათასი) ლარს (სწავლის საფასური გადაიხდება ეროვნულ ვალუტაში - ლარში). **დოქტორანტის მიერ** პროგრამის გეგმიური ვადის (6 სემესტრის) ვადის ამოწურვის შემდეგ **დამატებითი სემესტრებში** სწავლის გაგრძელების შემთხვევაში, <u>პირველი ორი დამატებითი სემესტრის</u> სტუდენტს **სწავლის საფასური განესაზღვრება** შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე, შესასწავლი სასწავლო კურსის/კურსების

კრედიტების შესაბამისად (ასეთის არსებობის შემთხვევაში). თუ სტუდენტს დარჩენილი აქვს მხოლოდ კვლევითი კომპონენტი, თანხა შეეწონება სემესტრული გადასახადის ოდენობით - 1125. მომდევნო დამატებით სემესტრებში სტუდენტთან გაფორმდება ახალი ხელშეკრულება).

3.2. სწავლის საფასური გადახდილი უნდა იქნეს სემესტრულად, უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბსუ-ს სწავლის საფასურის გადახდის წესის" შესაბამისად (შემდეგ რეკვიზიტებზე: მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა; მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში; ბანკის კოდი - TRESGE22; მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი - 7 0901 7289 - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასური; დანიშნულებაში უნდა მიეთითოს: სტუდენტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ბსუ-ს შესაბამისი სადოქტორო პროგრამის დასახელება);

3.3. სასწავლო სემესტრის დაწყებისა და დასრულების თარიღი **(აკადემიური კალენდარი),** ასევე აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის პერიოდი, განისაზღვრება უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით, რომელიც ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (ველში „სწავლა"- „აკადემიური კალენდარი"), ასევე ბსუ-ს პორტალზე **(შენიშვნა:** „ბსუ-ს სწავლის საფასურის გადახდის წესი", ასევე სწავლის საფასურში შეღავათების და საუნივერსიტეტო სტიპენდიების შესახებ ინფორმაცია და სამართლებრივი აქტები განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე, ველში „სტუდენტის გზამკვლევი").

მუხლი 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, სწავლის ვადა, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა და შეჩერება

4.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ---------- სასწავლო წლიდან და მოქმედებს ამ პროგრამაზე ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტამდე პერიოდში;

4.2. სტუდენტისათვის ბსუ-ს სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მხარეები ვალდებულნი არიან სრულად შეასრულონ სტატუსის შეწყვეტამდე წარმოშობილი ვალდებულებები.

4.3. ერთობლივი სადოქტორო პროგრამის „განათლების მეცნიერებები" ხანგრძლივობაა 3 (სამი) წელი (მათ შორის სასწავლო კომპონენტი შეადგენს 45 ECTS კრედიტს). პროგრამის გეგმიური ვადის - 6 სემესტრის (სადოქტორო პროგრამის ოპტიმალური ვადის) გასვლის შემდეგ დოქტორანტს უფლება აქვს პროგრამის დასრულების მიზნით ისარგებლოს არაუმეტეს 4 (ოთხი) დამატებითი სემესტრით, რის თაობაზეც მმართველი საბჭოს წარდგინებით გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორი უნივერსიტეტის (ბსუ-ს) განმახორციელებელი ფაკულტეტი (ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი), ბსუ-ს დოქტორანტურის დებულებით დადგენილ ვადაში და წესით, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით.

4.4. უნივერსიტეტის **სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:**

ა) პირადი განცხადება;

ბ) სტუდენტის მიერ შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება (დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება);

გ) **ჯამში 5 წლის** განმავლობაში სტუდენტის სტატუსის შეჩერება, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა;

დ) ერთი და იგივე სასწავლო კურსის სამჯერ მოსმენა და კრედიტის ვერ მიღება (სამჯერ შეფასების „ჩაჭრა" – F" მიღება);

ე) პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტების საბჭოების მიერ სტუდენტის მიმართ განხორციელებული დისციპლინური დევნის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება, შესაბამისი პარტნიორი უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის, შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების საფუძველზე;

ვ) გარდაცვალება;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით, უნივერისტეტის წესდებით, ეთიკის კოდექსით, შინაგანაწესით, ბსუ-ს დოქტორანტურის დებულებით განსაზღვრული სხვა შემთხვევები.

4.5. სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, მხარეები თავისუფლდებიან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების შესრულებისაგან,

თუმცა აღნიშნული არ ათავისუფლებს მხარეებს სტატუსის შეჩერებამდე წარმოშობილი ვალდებულების შესრულებისაგან.

4.6. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლებია:

ა) ადმინისტრაციული რეგისტრაციის (სწავლის საფასურის გადახდა) ან/და აკადემიური რეგისტრაციის (სასწავლო პროცესის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაცია/სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტების რეგისტრაცია) გაუვლელობა;

ბ) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა (გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პარტნიორი უნივერსიტეტებიდან წასული გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტისათვის;

გ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება (**ავადმყოფობა** - თუ დოკუმენტურად დასტურდება სასწავლო პროცესში სტუდენტის მონაწილეობის შეუძლებლობა);

დ) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);

ე) საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, ბსუ-ს დოქტორანტურის დებულებით ან/და სხვა აქტებით განსაზღვრული შემთხვევები.

4.7. ამ მუხლის **4.6. პუნქტის „ბ" და „გ"** ქვეპუნქტებით განსაზღვრული საფუძვლით სტუდენტის სტატუსის შეჩერების მოთხოვნით სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამისი პარტნიორი უნივერსიტეტების რექტორს, სასწავლო პროცესის **დაწყებიდან 5 კვირის განმავლობაში.** აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ იგი კარგავს სტატუსის შეჩერებისა და სწავლის საფასურის მომდევნო სემესტრებში გამოყენების უფლებას. ხოლო ამ მუხლის პირველი პუნქტის **„დ" ქვეპუნქტის** საფუძველზე სტატუსის შეჩერების მოთხოვნით, სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამისი პარტნიორი უნივერსიტეტების რექტორს, **სასწავლო პროცესის დაწყებიდან არაუგვიანეს 2 კვირის განმავლობაში.** აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ იგი კარგავს მიმდინარე სემესტრში სტატუსის შეჩერების და სწავლის საფასურის მომდევნო სემესტრებში გამოყენების უფლებას.

4.8. ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემთხვევაში ამ მუხლის **4.7. პუნქტით** გათვალისწინებული წესიდან გამონაკლისი შესაძლოა დადგინდეს შესაბამისი პარტნიორი უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

4.9. ბსუ-ში სტუდენტის სტატუსის მოპოვების, სტუდენტის სტატუსის შეჩერების/სასწავლო პროცესში დაბრუნების, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის, სწავლის ვადის გახანგრძლივების პროცედურა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა რეგულაცია, დადგენილია საქართველოს კანონმდებლობისა და ბსუ-ს წესდების შესაბამისად შემუშავებული ,,ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით" და ,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულებით", რომლებიც განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე, ,,იურიდიულ ცნობარში" და ,,სტუდენტის გზამკვლევში", სტუდენტის შესახებ სხვა რეგულაციებთან ერთად.

მუხლი 5. სტუდენტის პერსონალური მონაცემების დამუშავება

5.1. სტუდენტი წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით აცხადებს წერილობით თანხმობას მისი პერსონალური მონაცემები უნივერსიტეტის მიერ დამუშავდეს ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის რეგულაციების (,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა"; ,,საქმისწარმოების ინსტრუქცია" და ,,სტუდენტთა ელექტრონული სერვისების ადმინისტრირების წესი") მოთხოვნათა დაცვით, წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებიდან და სხვა კანონიერი საჭიროებიდან გამომდინარე (სტუდენტურ პორტალზე/სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში განთავსება და სხვა).

5.2. სტუდენტის პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ სრული ინფორმაცია განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე, ,,სტუდენტთა გზამკვლევში" (თავი ,,სტუდენტის უფლებები, ვალდებულებები და პერსონალური მონაცემების დამუშავება").

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

6.1. საკითხები, რომლებსაც არ აწესრიგებს ეს ხელშეკრულება, <u>რეგულირდება თსუ-ს, აწსუ-ს თესაუ-ს და ბსუ-ს შორის „განათლების მეცნიერებების“ ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ 2025 წლის ივლისში გაფორმებული ხელშეკრულებით</u> (მისი შემადგენელი დანართებით) და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

6.2. მხარეთა შორის დავა გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. თუკი მხარეთა შორის შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული, თითოეულ მხარეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.3. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. თითოეული ეგზემპლარი გადაეცემა ხელშეკრულების თითოეულ მხარეს.

6.4. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

„უნივერსიტეტი”

საჯარო სამართლის იურიდიული
პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ.
№35/32

(რექტორის სახელი, გვარი)

(რექტორის ხელმოწერა)

„სტუდენტი”/„დოქტორანტი“

სახელი, გვარი _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

პირადი № _

ფაქტობრივი მისამართი _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

რეგისტრაციის მისამართი ----------

მობილ.ტელეფონი _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

ელ. ფოსტა_ _

_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

(სტუდენტის ხელმოწერა)